კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

„ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“

30 მარტს 13:00 საათზე კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მ. ალექსიძის 1/3) გაიმართება ბეჭდური და ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონის პრეზენტაცია, სახელწოდებით - „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“

პროექტის მიზანია საქართველოში სხვადასხვა პერიოდში არსებული წყობილების კვლევა და ქვეყნის მმართველებისა და მათი პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვანი ფაქტების გამოვლენა.

პრეზენტაციაზე პროექტის შემსრულებელთა ჯგუფი წარმოადგენს პროექტის განხორციელების შედეგად მომზადებულ პუბლიკაციას - ილუსტრირებულ ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომს, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპის სამოხელეო სისტემები შესაბამისი ვიზუალური მასალის (ბეჭდები, ხელრთვები), წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის დართვით.

პროექტის განხორციელება დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია მოიცავს უგრძეს ისტორიულ პერიოდს გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული, მე-19 ს-ის დასაწყისამდე. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრივი სისტემა ეყრდნობოდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სამოხელეო ინსტიტუტებს, რომლებიც შეესაბამებოდნენ კონკრეტული პერიოდის საზოგადოების განვითარების დონეს, სახელმწიფო იდეოლოგიას, ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებებს.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628